ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ფინანსურ იჯარას, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება რეალური ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ეკვივალენტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც განგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებულ გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე. დივიდენდების განაწილებიდან წარმოშობილი მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილი უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადახდებზე, რომლებიც დაკავშირებულია არა-ეკონომიკურ საქმიანობასთან აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დივიდენდების მოგების გადასახადის შედეგები (თუკი არის), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით ორგანიზაციამ აღიარა თუ არა წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბას 28-ის მიხედვით ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში – ინვესტიციის ობიექტების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით მოხდება თითოეული ინვესტიციის მიხედვით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- თუ რომელიმე კომპანიას, რომელიც არა არის თვითონ საინვესტიციო კომპანია, აქვს წილი რომელიმე ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, ამ კომპანიას შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს რეალური ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება:
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია;
 - ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

კომპანიის ემიტენტებისთვის მომსახურების გაწევა, სააბონენტო და საკომისიო, რომელზეც კომპანიას ფიქსირებული და სხვა ტარიფები აქვს დაწესებული.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა და შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღრიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვის მიყენებას ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 8-სა და 9-ში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება/ ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

თუმცა ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას. რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის წინა პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
შეზღუდული ფული	-	689,722	689,722
ფული და ფულის ეკვივალენტები	863,267	(689,722)	173,545
დებიტორული დავალიანება	81,172	(4,495)	76,677
გადახდილი ავანსები	66,045	4,495	70,540

ეფექტი მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
სხვა ხარჯები	(12,857)	12,857	-
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(251,351)	(12,857)	(264,208)

ეფექტი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
შეზღუდული ფულადი სახსრების ცვლილება საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(110,322)	(152,004)	(262,326)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	699,797	(527,267)	172,530
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	11,003	(10,451)	552
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	863,267	(689,722)	173,545

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ელექტრო მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2019 წელი	9,902	41,102	13,702	1,945	66,651
შეძენა	-	-	-	-	-
გაყიდვა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019 წელი	9,902	41,102	13,702	1,945	66,651
შეძენა	-	13,728	-	-	13,728
გაყიდვა	-	-	-	-	-
ჩამოწერა	(1,385)	(24,771)	(1,228)	-	(27,384)
31 დეკემბერი 2020 წელი	8,517	30,059	12,474	1,945	52,995
ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2019 წელი	(6,054)	(37,895)	(8,744)	(1,945)	(54,638)
ცვეთა წლის მანძილზე	(1,158)	(1,343)	(1,364)	-	(3,865)
31 დეკემბერი 2019 წელი	(7,212)	(39,238)	(10,108)	(1,945)	(58,503)
ცვეთა წლის მანძილზე	(1,161)	(3,259)	(1,368)	-	(5,788)
ჩამოწერილი ქონების ცვეთა	1,385	24,771	1,228	-	27,384
31 დეკემბერი 2020 წელი	(6,988)	(17,726)	(10,248)	(1,945)	(36,907)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019 წელი	2,690	1,864	3,594	-	8,148
31 დეკემბერი 2020 წელი	1,529	12,333	2,226	-	16,088

კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ღირებულება 20,614 ლარია (2019: 44,518 ლარი).

7. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
თვითღირებულება	
1 იანვარი 2020	-
შემოსვლა	85,276
გასვლა	-
31 დეკემბერი 2020	85,276
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი 2020	-
ცვეთის ხარჯი	28,426
31 დეკემბერი 2020	28,426
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	-
31 დეკემბერი 2020	56,850

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

7. აქტივი გამოყენების უფლებით (გაგრძელება)

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადახდები, წლის განმავლობაში 10,908 დოლარის ეკვივალენტით ლარში. ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საიჯარო პერიოდი, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, 2 წელია.

8. ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებე ლი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საქართველოს უძრავი ქონება"	აშშ დოლარი	110,000	ოქტომბერი 2022	7.5%	360,426	315,447
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	133,000	აგვისტო 2020	7%	-	381,404
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	150,000	აგვისტო 2022	7.50%	491,490	-
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	40,000	ივნისი 2021	6.50%	131,064	114,708
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	31,000	აგვისტო 2021	7.50%	101,575	88,899
სულ გაუფასურების რეზერვამდე					1,084,555	900,458
გაუფასურების ანარიცხი					(7,710)	(11,706)
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით					1,076,845	888,752

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრის მდგომარეობით	11,706	9,266
გაუფასურების აღდგენა წლის განმავლობაში	(4,958)	(3,445)
გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	962	5,885
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,710	11,706

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

9. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	433,427	490,043
მოთხოვნები დეპოზიტებიდან	33,652	22,538
მოთხოვნები ფინანსური აქტივებიდან ამორტიზირებული ღირებულებით	21,920	17,389
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(411,715)	(453,293)
სულ დებიტორული დავალიანება	77,284	76,677

დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
გაუფასურების ანარიცხები ¹ იანვრის მდგომარეობით	(453,293)	(463,412)
გაუფასურების აღდგენა წლის განმავლობაში	22,162	38,462
გაუფასურებული დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	41,111	-
გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	(21,695)	(28,343)
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	(411,715)	(453,293)

10. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
წინასწარ გადახდილი გადასახადები	34,323	66,045
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,012	4,495
სულ გადახდილი ავანსები	38,335	70,540

11. ფული და ფულის ეკვივალენტები, შეზღუდული ფულადი სახსრები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საბანკო დეპოზიტი	170,000	110,000
ფული საბანკო ანგარიშზე	84,325	63,545
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	254,325	173,545

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო.

კომპანია საბანკო ანგარიშზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე ფლობს 875,336 ლარს (2019: 689,722 ლარი) ერთწლიან გამოუთხოვად ვადიან ანაზარებს. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს ერიცხება 8,7 – 10,65 % სარგებელი, ხოლო უცხოურ ვალუტაში (დოლარში) განთავსებულ დეპოზიტებს კი - 0.7%.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

12. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 630,000 ცალი 1 ლარის ღირებულების აქციებისგან.

შემოსავალი ერთ აქციაზე

მრიცხველი : კაპიტალით მიღებული შემოსავალი	2020	2019
წლის მოგება	417,866	336,102
სულ წლის მოგება	417,866	336,102
მნიშვნელი : აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა		
აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	630,000	630,000
შემოსავალი ერთ აქციაზე		
საბაზისო და განზავებული	0.66	0.53

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა მიუთითებს მიმოქცევაში არსებულ აქციებზე პერიოდის განმავლობაში.

13. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	32,537	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	37,566	-
სულ საიჯარო ვალდებულება	70,103	-

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
თავდაპირველი აღიარებისას	85,276	-
საპროცენტო ხარჯი	5,103	-
გადახდები წლის განმავლობაში	(26,613)	-
საიჯარო ქირის დათმობა	(4,563)	-
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ეფექტი	10,900	-
ნაშთი წლის ბოლოს	70,103	-

31 დეკემბერი 2020	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი
საიჯარო გადახდები	35,740	38,719
ფინანსური ხარჯი	(3,203)	(1,153)
დღევანდელი ღირებულება	32,537	37,566

14. დარიცხული ვალდებულებები

კომპანიის დარიცხული ვალდებულებები შედგება 30,400 ლარი კომპანიის თანამშრომლებისთვის გადასახდელი პრემიებისგან და 18,037 ლარი სხვა ვალდებულებებისგან (2019: შესაბამისად 28,000 ლარი და 20,727 ლარი).

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

15. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საკომისიო შემოსავალი	250,593	274,555
სააბონენტო შემოსავალი	142,514	151,029
სულ საკომისიო შემოსავალი	393,107	425,584

საკომისიო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას, მოთხოვნის თანახმად, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას. სააბონენტო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტოებს.

16. საპროცენტო და სხვა შემოსავალი

საპროცენტო და სხვა შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	72,061	59,563
შემოსავალი მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან	78,249	52,368
სხვა შემოსავალი	4,993	34,101
სულ საპროცენტო და სხვა შემოსავალი	155,303	146,032

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	151,018	155,791
ცვეთა და ამორტიზაცია	34,214	3,864
პრემიის ხარჯი	32,000	30,000
საკონსულტაციო ხარჯი	17,215	9,903
კომუნიკაციის ხარჯი	6,953	15,532
კომუნალური გადასახადების ხარჯი	3,861	1,767
დაცვის ხარჯი	1,620	1,620
იჯარის ხარჯი	-	32,164
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	10,066	13,567
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	256,947	264,208

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

18. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას აკონტროლებს სს „ბიჯი ფაინანშალი“, რომელიც ფლობს კომპანიის ჩვეულებრივი აქციების 100%-ს. სს „ბიჯი ფაინანშალი“ სს „საქართველოს ბანკთან“ ერთად შედის „ბენკ ოფ ჯორჯია გრუპ“ PLC ჯგუფში. სს „ბიჯი ფაინანშალი“ ამზადებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, სადაც ხდება სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“-ს ფინანსური მაჩვენებლების კონსოლიდირება.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

განხორციელებული ოპერაციები	2020	2019
საკომისიო შემოსავალი	11,584	7,295
საპროცენტო შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	46,493	36,821
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	78,249	52,368
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	406	116
საბალანსო ნაშთები		
საბალანსო ნაშთები „საქართველოს ბანკთან“:	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	254,325	173,545
შეზღუდული ფულადი სახსრები	875,336	689,722
საბალანსო ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან :		
დებიტორული დავალიანება	49,335	73
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	718,080	404,346
დარიცხული ვალდებულებები	30	-

სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის საწარმოებისთვის კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფები (გარდა სააბონენტო ტარიფებისა), ისევე როგორც სხვა ერთ ბიზნეს-ჯგუფის წევრი საწარმოებისთვის, განსაზღვრულია 25%-იანი დისკონტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	2020	2019
ხელფასი, პრემია და სხვა სარგებელი	52,068	50,555

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ სიახლეებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირად არ არის ნათელი, ან არის წინააღმდეგობრივი და ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ ერთმანეთისგან განსხვავებულ განმარტებებს. გადასახადები ექვემდებარება განხილვას და გამოკვლევას მთელი რიგი სამთავრობო ორგანოების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება, დააწესონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო გადასახადები.

საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვისთვის მომდევნო სამი, ან ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მეტი კალენდარული წლის განმავლობაში. ეს გარემოებები ქმნიან საგადასახადო რისკს საქართველოში, რაც არსებითად მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში.

კომპანიის დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციები გადაფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღინუსხება მოგებიდან გადასახადის პოზიციაზე, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მეტად სავარაუდო რომ შედეგად არ მოიტანოს დამატებითი გადასახადები, თუ პოზიციები გადახედილი იქნება საგადასახადო ორგანოს მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც მოქმედია ან არსებითად მოქმედია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. პირგასამტეხლოს, საპროცენტო და გადასახადების ვალდებულებები, გარდა მოგებიდან გადასახადისა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ ხარჯების მყარი შეფასების საფუძველზე.

20. ფინანსური რისკების მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რისკის მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს, რომლებიც საჭიროა ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არსებობს რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტი	254,325	173,545
შეზღუდული ფული	875,336	689,722
დებიტორული დავალიანება	77,284	76,677
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	1,076,845	888,752
სულ ფინანსური აქტივები	2,283,790	1,828,696
ფინანსური იჯარა	70,103	-
სავაჭრო ვალდებულებები	48,437	48,727
სულ ფინანსური ვალდებულებები	118,540	48,727

კომპანიის საბანკო დეპოზიტები ინახება მხოლოდ ერთ ბანკში.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2020	2019
საბანკო ანგარიშებზე განთვსებული ფულადი სახსრები	254,325	173,545
შეზღუდული ფულადი სახსრები	875,336	689,722
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	1,076,845	888,752
დებიტორული დავალიანება	77,284	76,677

ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსი მოიცავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი ფინანსური აქტივებისა ამორტიზირებული ღირებულებით და დებიტორული დავალიანებისთვის. დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

რაც შეეხება ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების (სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთ წლამდე და ერთი წლიდან სამ წლამდე პერიოდი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი ერთი წელი.

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	254,325	-	254,325
შეზღუდული ფული	875,336	-	875,336
დარიცხული დებიტორული დავალიანება	77,284	-	77,284
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	229,614	847,231	1,076,845
სულ ფინანსური აქტივები	1,436,559	847,231	2,283,790
ფინანსური ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა	32,537	37,566	70,103
სავაჭრო ვალდებულებები	48,437	-	48,437
სულ ფინანსური ვალდებულებები	80,974	37,566	118,540
ლიკვიდურობის პოზიცია	1,355,585	809,665	2,165,250

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	173,545	-	173,545
შეზღუდული ფული	689,722	-	689,722
დარიცხული დებიტორული დავალიანება	76,677	-	76,677
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	376,446	512,306	888,752
სულ ფინანსური აქტივები	1,316,390	512,306	1,828,696
ფინანსური ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა			
სავაჭრო ვალდებულებები	48,727	-	48,727
სულ ფინანსური ვალდებულებები	48,727	-	48,727
ლიკვიდურობის პოზიცია	1,267,663	512,306	1,779,969

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კომპანიის მგრძობელობას სავალუტო რისკის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებულია ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	ფული და ფულის ეკვივალენტები	შეზღუდული ფულადი სახსრები	სულ
ლარი	77,284	-	254,325	760,000	1,091,609
აშშ დოლარი	-	1,076,845	-	115,336	1,192,181
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,284	1,076,845	254,325	875,336	2,283,790

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებულია ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	ფული და ფულის ეკვივალენტები	შეზღუდული ფულადი სახსრები	სულ
ლარი	76,677	-	173,545	610,000	860,222
აშშ დოლარი	-	888,752	-	79,722	968,474
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76,677	888,752	173,545	689,722	1,828,696

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	ფინანსური იჯარა	სულ
ლარი	37,611	-	37,611
აშშ დოლარი	10,826	70,103	80,929
სულ	48,437	70,103	118,540

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	ფინანსური იჯარა	სულ
ლარი	43,990	-	43,990
აშშ დოლარი	4,737	-	4,737
სულ	48,727	-	48,727

ეს ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	2020	2019
USD გამყარება 30%	333,376	289,121
USD გაუფასურება 30%	(333,376)	(289,121)

რისკი გაანგარიშებულია მხოლოდ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ბალანსებისთვის.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 29 მარტს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.